



## კურსის მიმოხილვა მე-12 კლასი

**წყარო:** Reimers, F. (2017). “მოსწავლეების გაძლიერება და მოტივირება სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად 60 გაკვეთილში”. 1-ლი გამოცემა. საგამომცემლო პლატფორმა *Createspace Independent*.

**საავტორო უფლება:** © 2017 Fernando M. Reimers. ნაშრომის ლიცენზია - Creative Commons Attribution 4.0 International License. ლიცენზიის ასლის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/> ყველა უფლება დაცულია.

**შენიშვნა:** ყველა კომპონენტი გამოქვეყნდა გლობალური სკოლების პროგრამისგან დამოუკიდებლად.



<b>მიმოხილვა</b>	
<b>სწავლის მიზანი</b>	
<p>ე-12 კლასში მოსწავლეები ყურადღებას გაამახვილებენ იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ 12 წლის განმავლობაში შექმნილი ცოდნის გამოყენება მომავალში, როცა აღარ იქნებიან მოსწავლეები. ისინი გამოიკვლევენ შესაძლებლობებს, გავლენა იქონიონ დადებით ცვლილებებზე კარიერაში, მომსახურებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, და დატოვებენ სკოლას შთაგონებულები იმით, რომ მუმიდრეკად იღვწოდნენ მსოფლიოს უკეთესობისთვის.</p>	
<b>გაკვეთილის შაბლონი</b>	
<b>აკვეთილი 1</b>	მომსახურების როლი
<b>გაკვეთილი 2</b>	დასაქმება: რა არის ჩემი ადგილი სამყაროში?
<b>აკვეთილი 3</b>	ინსტიტუციების როლი თანამედროვე საზოგადოებაში
<b>აკვეთილი 4</b>	აილე, გააკეთე, გაფლანგე: მდგრადი ეკონომიკის პარადიგმა
<b>აკვეთილი 5</b>	კარგის კეთება: ლოკალური ბიძგის ხელშეწყობა სამყაროს უკეთეს ადგილად ქცევისთვის
<b>სწავლის მიზნები</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეები ჩამოაყალიბებენ სკოლის დამთავრების შემდგომ გეგმებს.</li> <li>• მოსწავლეები კრიტიკულად იაზროვნებენ იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ ყველა გაკვეთილზე შესწავლილის გამოყენება.</li> <li>• მოსწავლეები იქნებიან შთაგონებულნი, რომ ზრდასრულობაშიც გააგრძელონ პოზიტიური ცვლილებების განხორციელება.</li> </ul>	



## კლასი 12, გაკვეთილი 1 “მომსახურების როლი”

**დროის ხანგრძლივობა:** 60 წუთი

**თემები:** სოციალური სწავლებები, ენის ხელოვნება (Language Arts)

**სტანდარტები:** სილარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); პარტნიორობა მიზნების მისაღწევად (მიზანი 17)

**შეიმუშავა:** Somoh Supharukchinda, Alexandra Ball, Deaweh Benson, Heer Shaikh, Nicolás Riveros

**შეჯამება და დასაბუთება:** ამ გაკვეთილში მოსწავლეები განიხილავენ იმ როლს, რომელსაც მომსახურება თამაშობს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაში. ისინი გაეცნობიან მომსახურების შერჩეულ მაგალითებს და გამოიკვლევენ მოთხოვნების შეფასების ჩატარებისა და მოთხოვნის შესაბამისი პასუხის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ინსტრუმენტებს. მოსწავლეები წარადგენენ სამაგალითო მომსახურების ვიდეოს მიღების თავიანთ კანდიდატს და არგუმენტირებულად დაასაბუთებენ თავიანთ არჩევანს. მაგალითებს ამ გაკვეთილისთვის წარმოადგენენ შერჩეული კანდიდატები “CNN გმირები”-დან, მაგრამ მასწავლებლებს შეუძლიათ სხვა წყაროს გამოყენება.

### სასწავლო მიზნები:

- გააცანით მოსწავლეებს მოთხოვნების შეფასების ჩატარებისა და მოთხოვნის შესაბამისად საპასუხო პროექტის/პროგრამის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ინსტრუმენტები.
- წახალისეთ მოსწავლეთა აქტიურობა და შუამავლობა თავიანთი თემის მსახურებისთვის.
- მიეცით მათ წარდგენისა და დარწმუნების უნარების ვარჯიშის შესაძლებლობა.

### გაცნობიერების მიზნები:

- ინდივიდებს შესაძლოა ჰქონდეთ თავიანთი თემისა და მსოფლიოს გაუმჯობესების პიროვნული საქმიანობა მომსახურების აქტივობებით და პროექტებით.
- ეფექტური მომსახურება მორგებულია თემის საჭიროებაზე, იყენებს სტრატეგიულ ინსტრუმენტებს შესაფერისი საპასუხო პროექტის შექმნისა და შედეგების შეფასებისთვის.

### მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა მაგალითები არსებობს იმ საშუალებებისა, რითიც პიროვნებას შეუძლია ემსახუროს თავის თემს?
- რა ინსტრუმენტებია გამოსადეგი მომსახურების აქტივობის/პროექტის შესაქმნელად?
- როგორ მეცოდინება ჩემი აქტივობა/პროექტი აუმჯობესებს თუ არა ხალხის ცხოვრებას?



- როგორ შემიძლია ჩემი თემისა და მსოფლიოს გაძლიერება მომსახურების საშუალებით?

## სწავლის სტანდარტები:

- **ეთიკური და კულტურათმორისი ორიენტაცია (გრძნობა):** ისწავლე კარგ ადამიანად ყოფნა.
- **ცოდნა და უნარები (ფიქრი):**
  - ცოდნის გამოყენება სხვადასხვა დისციპლინაში და, ამგვარად, შინაარსის საფუძვლიანად გაგების დემონსტრირება.
  - ეკონომიკაში/ფინანსურ ურთიერთობებში, მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, მონაცემთა ანალიზსა და ჯანდაცვაში იმ უნარების შექმნა, რომლებიც მოსწავლეებს რეალური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას მისცემს.
  - ისეთი პრობლემების გადაჭრის გზების ანალიზი და კვლევა, როგორებიცაა წყალი, ენერჯია და საჭმელი სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგ. მომხმარებლების, მეცნიერების, ბიზნესმენების, მკვლევარების, საცალო მოვაჭრეების, მედიის, პოლიტიკოსების და სხვ.
- **მოღვაწეობა და ნახალისება (ქმედება):**
  - მოსწავლეები შეიძენენ პრაგმატულ უნარებს, რომლებიც ჩაუნერგავს მათ ქმედუნარიანობის გრძნობას.
  - მოსწავლეებმა სამომავლო კარიერული გეზი უნდა აიღონ ნასწავლი ეთიკური საფუძვლებისთვის ღირებულების და ფასეულობის მინიჭების მიმართულებით.
  - მოსწავლეები ისწავლიან ქმედუნარიანობას და დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის დაბალანსების უნარებს.
  - მოსწავლეები იქნებიან მოტივირებულნი, რომ განახორციელონ ცვლილებები სკოლის დამთავრების შემდეგაც.

## სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- მომსახურების აქტივობებისა და პროექტების მაგალითების ამოცნობა.
- სტრატეგიული ინსტრუმენტების გამოყენება თემის საჭიროებების ამოცნობისა და შესაბამისი მომსახურების აქტივობის/პროექტის ჩამოყალიბებისთვის.
- არგუმენტირებულად და დამაჯერებლად დასაბუთება, თუ რატომ აუმჯობესებს ესა თუ ის მომსახურების აქტივობა/პროექტი თემს/მსოფლიოს.
- მომსახურების გზით თემის გაუმჯობესებაზე პიროვნული ვალდებულების მკაფიოდ ჩამოყალიბება.

**შეფასება:** დაავალეთ მოსწავლეებს დამაჯერებელი ესსეს დაწერა საშინაო დავალებად. ესსეში უნდა იყოს წარმოდგენილი მტკიცება ერთ-ერთი კანდიდატის სასარგებლოდ, თუ რატომ აირჩიეს ის



სამაგალითო მომსახურების ჯილდოსთვის. მასწავლებელს შეუძლია ტოპ 3 კანდიდატი და შესაბამისი არგუმენტების მოკლე შინაარსი გაუზიაროს კლასს მომდევნო გაკვეთილზე.

## აქტივობათა თანმიმდევრობა:

- **გაკვეთილის გაცნობა და თემის პრობლემების ამოცნობა (5 წუთი):**
  - აუხსენით კლასს, რომ ამ გაკვეთილზე ყურადღება დაეთმობა პრობლემების, შესაძლო გადაწყვეტის გზების ამოცნობას და ამისათვის საჭირო ინსტრუმენტების გაცნობას.
  - გაუზიარეთ პრობლემის მაგალითი (მაგ. ადგილობრივი საბავშვო მოედანი დანაგვიანებულია). სთხოვეთ მოსწავლეებს მოიფიქრონ სხვა პრობლემები, რომლებიც შეუმჩნევიათ თავიანთ თემში.
  - გაუზიარეთ მათ პრობლემის გადაწყვეტის გზის მაგალითი (მაგ. ადგილობრივი მონალისეობრივი დასუფთავების პროგრამა). სთხოვეთ მოსწავლეებს მოიფიქრონ დასახელებული პრობლემების შესაძლო გადაწყვეტის გზები.
- **საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტების მიმოხილვა (10 წუთი):**
  - მოკლედ მიმოხილეთ ის მაგალითები, რომლებსაც იყენებენ სოციალური სწავლებების მეცნიერები თემის საჭიროებების შეფასებისა და გადაწყვეტის გზების შემუშავებისთვის.
  - მოიყვანეთ ისეთი მაგალითები, როგორებიცაა საჭიროებების შეფასება, ლოგიკური მოდელი ან ცვლილების თეორია.
  - აუხსენით მოსწავლეებს, როგორ შეიძლება ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება მათ მიერ ამოცნობილი პრობლემის მაგალითზე.
- **მთავარი აქტივობის გაცნობა (5 წუთი):**
  - გაუზიარეთ მოსწავლეებს, რომ ბევრმა ადამიანმა მიუძღვნა ცხოვრების დიდი ნაწილი ამგვარი სათემო პრობლემების მოგვარებას მომსახურების აქტივობების გზით. დღეს მოსწავლეები რამდენიმე ასეთი ადამიანის შესახებ შეიტყობენ “CNN გამირებში” მოყოლილი ამბებიდან.
  - დაყავით მოსწავლეები პატარა ჯგუფებად და გამოუყავით “CNN გამირებიდან” კანდიდატი.
  - მოსწავლეებს მიეცით ინსტრუქცია, რომ:
    - ნახონ ვიდეო და ნებისმიერი თანდაყოლილი ინფორმაცია მათთვის გამოყოფილ კანდიდატზე. ეს შეიძლება მოიცავდეს დამატებით ონლაინ კვლევას.
    - გაკვეთილებიდან ნაცნობი ინსტრუმენტების გამოყენებით:
      - ამოიცნონ პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ცდილობდა ეს პიროვნება.



- ამოიცნონ გადაჭრის გზა, რომელსაც მიმართა ამ პიროვნებამ.
  - ამოიცნონ მომსახურების ინიციატივის/პროექტის შედეგები.
  - მოამზადონ 3 წუთიანი პრეზენტაცია იმაზე, თუ რატომ იმსახურებს მათი კანდიდატი CNN გმირების ჯილდოს.
  - წინასწარ განიხილეთ საშინაო დავალება, რომ მოუწოდოთ მოსწავლეებს პრეზენტაციის განმავლობაში ჩანიშვნების გაკეთებისკენ.
- **მომზადება (25 წუთი):** ჯგუფები უყურებენ თავიანთი კანდიდატის ვიდეოს, ატარებენ კვლევას და ემზადებიან პრეზენტაციისთვის.
  - **პრეზენტაცია (15 წუთი):** ჯგუფები წარუდგენენ კლასს თავიანთ კანდიდატებს.

#### რესურსები მოსწავლეებისთვის:

- CNN გმირები: <http://tiny.cc/G12L1R1>

#### რესურსები მასწავლებლებისთვის:

- საჭიროებების შეფასების დაგეგმვა (გვ. 5-ის შემდეგ): <http://tiny.cc/G12L1R2>
- Kellogg ფონდის ლოგიკური მოდელის სახელმძღვანელო: <https://www.aacu.org/sites/default/files/LogicModel.pdf>
- ცვლილების თეორიის ცენტრი: <http://tiny.cc/G12L1R4>
- პრაქტიკული ინსტრუმენტი ქმედებისთვის Practical, ცვლილების თეორია: <http://tiny.cc/G12L1R5>





## კლასი 12, გაკვეთილი 2

“დასაქმება: რა არის ჩემი ადგილი სამყაროში?”

**დროის ხანგრძლივობა:** 60 წუთი

**თემები:** სოციალური სწავლებები, კომუნიკაციები, შემოქმედებითი წერა

**სტანდარტები:** ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (მიზანი 8); მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა (მიზანი 9)

**შეიმუშავა:** Abimbola Adetunji

### შეჯამება და დასაბუთება:

- მოსწავლეები ხშირად თავად უქვემდებარებენ ცენზურას სამომავლო შესაძლებლობებს ან აქტიურად არ არიან ჩართულნი თავიანთი კარიერული გზის არჩევაში. ამ გაკვეთილის მიზანია მოსწავლეებს დაეხმაროს და მხედველობაში მიაღებინოს ყველა შესაძლო სამომავლო კარიერული გზა და მათი გავლენა მოსწავლეების უახლოეს და მსოფლიო გარემოცვაზე.
- ამ გაკვეთილზე მოსწავლეები დაფიქრდებიან, რა მოსწონთ, არ მოსწონთ, რა ინტერესები და გატაცებები აქვთ და როგორ შეუძლიათ ამ ყველაფრის შერწყმა სხვადასხვა პროფესიაში. მიზანი არის ის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ კარიერული გზების განხილვა და იმ საშუალების აღმოჩენა, რომელსაც ფლობენ სამყაროს შესაცვლელად.
- მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ შესაძლო კარიერულ გზებს და ახსნიან, თუ რატომ შეაჩერეს არჩევანი მასზე, რა გავლენას მოახდენს ის მოსწავლისა და მის გარშემო ადამიანების ცხოვრებაზე, განიხილავენ ამ პროფესიას გლობალურ კონტექსტში და იმ დამატებით უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭირო იქნება არჩეულ კარიერულ გზაზე ეფექტური შედეგების მისაღწევად.

### სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეებში თვითანალიზის ხელშეწყობა და ცხოვრების მიზნის ამოცნობისთვის საჭირო საფუძველის შექმნა.
- სამყაროს ჩამოყალიბებისთვის მათი მოქმედების/მოღვაწეობის ხელშეწყობა.
- კვლევითი და წერიითი უნარ-ჩვევების გაღრმავების შესაძლებლობის მიცემა.

### გაცნობიერების მიზნები:

- მსოფლიოში უამრავი პროფესიაა, რომლებიც განსხვავებულ უნარებს მოითხოვენ, და ჩემთვისაც არსებობს შესაფერისი პროფესია.
- ჩემი მოვალეობაა სამყაროს პოზიტიურად ჩამოყალიბება და თავად შემიძლია განვსაზღვრო ამის კეთების გზა.
- არ ვარ ვალდებული არჩევანი გავაკეთო წარმატებულ კარიერასა და ჩემს ინტერესებს შორის. შემიძლია მქონდეს ორივე და ვიყო ბედნიერი.
- ეს არის ჩემი შემდგომი ნაბიჯები არჩეულ კარიერულ გზაზე წარმატების მისაღწევად.



- ამგვარად შემიძლია მსოფლიოზე გავლენის მოხდენა.

## მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა მომწონს/არ მომწონს?
- რა მანუხებს ყველაზე მეტად ჩემს გარშემო არსებულ სამყაროში? რატომ?
- როგორი იქნებოდა ჩემი იდეალური სამყარო?
- მდგრადი განვითარების რომელი მიზნები თამაშობს დიდ როლს ჩემს იდეალურ სამყაროში? როგორ?
- მე რა როლი მექნება იდეალურ სამყაროში?
- სკოლის საგნებიდან რომელია ჩემი საყვარელი? რატომ?
- რა არის ჩემი ჰობი?
- რომელი პროფესიები მოიცავს ჩემს საყვარელ საგნებს და იმას, რაც მე მომწონს?
- თუ მინდა ამ პროფესიის არჩევა და კარიერის ქონა, რა დამატებითი უნარები დამჭირდება?
- როგორ შემიძლია ამ მიზნის მიღწევა?
- როგორ შეცვლის ის ჩემს ცხოვრებას, ჩემს გარემოცვას და სამყაროს?
- რისი კეთება შემიძლია დავინყო ახლა?

## სწავლის სტანდარტები:

- **ეთიკური და კულტურათმორისი ორიენტაცია (გრძნობა):**
  - ამოიცანი და დააფასე ყველა ადამიანის, ცოცხალი არსებისა და პლანეტის ერთმანეთზე დამოკიდებულება.
  - გააცნობიერე თითოეული ადამიანის უფლება, ჰქონდეს ბედნიერი, ჯანმრთელი და პროდუქტიული ცხოვრება მიუხედავად სქესისა, ასაკისა, შეზღუდული შესაძლებლობისა და სხვა.
  - გამოხატე საკუთარი თავი ხელოვნების საშუალებით (ფილოსოფიური გამოხატულების ჩათვლით).
- **ცოდნა და უნარები (ფიქრი):**
  - კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენე არსებული ძალაუფლების სტრუქტურები და შეგნებული გქონდეს მათი ადგილი კონკრეტულ კონტექსტში.
  - გააცნობიერე საკუთარი იდენტობა და წარმომავლობა (ფესვები), სხვების იდენტობა და წარმომავლობა (ფესვები), კულტურის გავლენა იდენტობის ჩამოყალიბებაზე და საკუთარი მდგომარეობა დროსა და სივრცეში.
  - გამოხატე ქმედებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნა ურთიერთდაკავშირებულ კონტექსტში.
  - გამოიყენე ცოდნა სხვადასხვა საგანში და გამოხატე შინაარსის უფრო ღრმა გაგება.





- გაცნობიერე ნდობისა და თანამშრომლობის, ღირსეული და შემოსავლიანი დასაქმების ელემენტები და ადგილობრივი თუ გლობალური ერთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების მნიშვნელობა.
- შეგნებული გქონდეს საკუთარი თავისა და საზოგადოების კეთილდღეობა (ფიზიკური, მენტალური, სულიერი...)
- შეიძინე ახალი უნარები ეკონომიკურ/ფინანსურ ურთიერთობებში, მეცნიერებაში, მონაცემთა ანალიზსა და ჯანდაცვაში, რომლებიც დაგეხმარება რეალური პრობლემების გადაწყვეტაში.
- გაანალიზე და გამოიკვლიე პრობლემის გადაწყვეტის გზები სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგ. მომხმარებლის, ბიზნესმენის, მეცნიერის, პოლიტიკოსის, მკვლევარის, მედიის და სხვა.

### ● მოღვაწეობა და ნახალისება (ქმედება):

- მოსწავლეებმა თავიანთი კარიერული გზა უნდა მიმართონ ნასწავლი ეთიკური საფუძვლებისთვის ღირებულების და ფასეულობის მინიჭებისკენ.
- მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ იმის ძალა და ქმედუნარიანობა, რომ:
  - იმოქმედონ გამძლეობით და შესაძლებლობის გრძნობით.
  - ამოიცნონ და დაუპირისპირდნენ უსამართლობას.
  - გადალახონ გაჭირვება და არახელსაყრელი სიტუაცია.
  - დაგეგმონ და განახორციელონ აქტივიზმის პროექტი.
- მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ ინოვაციური აზროვნების უნარები და რწმენა, რომ გაუმჯობესება ყოველთვის შესაძლებელია ზრდა-განვითარებისკენ მიმართული აზროვნებითა და მიდგომით.
- მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება.

### სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ გაცნობიერებას):

- მსოფლიო მასშტაბით არსებული სხვადასხვა კარიერული შესაძლებლობები.
- თავიანთი ინტერესები და მათი თანაკვეთა შესაძლო კარიერულ გზასთან.
- მათ აქვთ საშუალება და ძალა, რომ შეცვალონ სამყარო.
- მომავალი კარიერა შესაძლოა იყოს სასიამოვნო და სიხარულის მომტანი პასუხისმგებლობების მიუხედავად.
- სამოქმედო გეგმის შემუშავება.

### შეფასება:

- მოსწავლეები დაწერენ 1500 სიტყვიან ესსეს (“მიზნის მტკიცება/განცხადება”) რომელიც პასუხობს ყველა მნიშვნელოვან კითხვას და განმარტავს იმ რესურსებს, რომლებიც დასჭირდებათ.
- ესსე უნდა შეფასდეს 5 ქულიანი შკალით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:
  - არგუმენტების სიცხადე და ღრმავაროვნება;



- ინოვაცია შემოთავაზებულ გავლენაში;
- არგუმენტების გამამყარებელი მაგალითებისა და ანალოგიების გამოყენება;
- სამოქმედო გეგმა.

## აქტივობათა თანმიმდევრობა:

### ● შესავალი (5 წუთი):

- მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს სთხოვს კარიერის განმარტებას.
- ამის შემდეგ მასწავლებელი განმარტავს განსხვავებას კარიერასა და სამსახურს შორის.
  - კარიერა: საქმიანობა, რომელსაც ადამიანი თავისი ცხოვრების საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ასრულებს და აქვს შესაძლებლობები პროგრესისა და წინსვლისთვის; ცხოვრებისეული ამბიციისკენ ლტოლვა ან საზოგადო პროგრესი/წინსვლა ცხოვრების მიზნებისკენ.
  - სამსახური: აქტივობა, რომლის საშუალებითაც პიროვნებას შეუძლია ფულის გამოიმუშავება. ეს არის რეგულარული აქტივობა ანაზღაურების სანაცვლოდ.

### ● კლასის დისკუსია (5 წუთი):

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მათთვის ნაცნობი სამუშაო აქტივობების განხილვას და თითოეულის კლასიფიცირებას სამსახურად ან კარიერად. აქტივობა სრულდება ჯერ პატარა ჯგუფებში 2 წუთის განმავლობაში და შემდეგ ერთობლივად კლასში 3 წუთის განმავლობაში.

### ● მასწავლებელი უზიარებს (10 წუთი):

- ჰყვება თავის, როგორც მასწავლებლის, კარიერულ მოგზაურობაზე და გამოკვეთს ინტერესებს, ხედვას და ნაბიჯებს, რომლებიც ამ მიზნის მიღწევაში დაეხმარა.
- განმარტავს იმ წინააღმდეგობებს, რომელთა გადალახვაც მოუწია.
- განსაზღვრავს, რა გავლენა მოახდინა კარიერამ მის ცხოვრებასა და გარშემო საზოგადოებაზე და შეძლებისდაგვარად უკავშირებს ამ ყველაფერს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზანს.

### ● თვითანალიზი (10 წუთი):

- მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს მოცემულ მნიშვნელოვან კითხვებს და სთხოვს მოსწავლეებს დამოუკიდებლად მათზე პასუხების გაცემას და ანალიზს.
- მასწავლებელი აკრეფს ჩანაწერებს.

### ● მასწავლებელი უძღვება დისკუსიას მოსწავლეების ჩანაწერებზე (10 წუთი):

- წამოიწყეთ საუბარი იმაზე, თუ რომელი კითხვები იყო მარტივი/რთული საპასუხოდ და რატომ.
- სთხოვეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ რთულ სიტუაციასა ან პრობლემაზე, რომელიც ოდესმე შექმნიათ. რა ცოდნა ან უნარები დაეხმარათ მათ დაძლევაში?



- აირჩიეთ რომელიმე მოსწავლე (მათი სურვილისამებრ), რომ კლასს გაუზიაროს თავისი გამოცდილება.
- **მასწავლებელი უძღვება დისკუსიას თემაზე “ჩემი იდეალური სამყარო” (10 წუთი):**
  - წამოიწყეთ საუბარი იდეალური სამყაროს მახასიათებლებზე და დაუპირისპირეთ ისინი რეალურ სამყაროში არსებულ გამოწვევებს.
  - რა როლს ასრულებს მდგრადი განვითარების მიზნები ამ იდეალური სამყაროს შექმნაში?
  - მოიწვიეთ რომელიმე მოსწავლე, რომ გაუზიაროს კლასს თავისი ხედვა იდეალურ სამყაროზე და თავისი როლზე მის შექმნაში.
- **დასრულება და დავალება (5 წუთი):**
  - მასწავლებელი აკეთებს მოკლე შეჯამებას და განიხილავს მაგალითებს, რომლებიც გამოკვეთს რთული სიტუაციების გადალახვის agency.
  - მასწავლებელი განმარტავს ესეს დავალებას, შეფასების სისტემას და მოლოდინებს.

### რესურსები მოსწავლეებისთვის:

- ჩაატარეთ ინფორმატიული ინტერვიუები თქვენი თემის 5 განსხვავებულ წევრთან და შეეცადეთ, გაიგოთ და გაიაზროთ მათი კარიერული არჩევანი.
- თუ შესაძლებელია, ეწვიეთ თქვენი სკოლის კარიერულ მრჩეველს.
- კარიერის ტესტი: <http://tiny.cc/G12L2R1>
- კარიერული ხედვა: <http://tiny.cc/G12L2R2>
- ჩემი მომავალი: <http://tiny.cc/G12L2R3>

### რესურსები მასწავლებლებისთვის:

- კარიერისა და უმაღლესი სასწავლებლისთვის მზადყოფნა: [https://www.wrksolutions.com/Documents/WhenIGrowUp/WIGU\\_PDFS/High-School/WFS-WIGU-HighSchool-Lessons.pdf](https://www.wrksolutions.com/Documents/WhenIGrowUp/WIGU_PDFS/High-School/WFS-WIGU-HighSchool-Lessons.pdf)
- კარიერის გამოკვლევა: <http://tiny.cc/G12L2R5>
- მე-12 კლასის კარიერული გზამკვლევის გაკვეთილების გეგმა: <http://tiny.cc/G12L2R6>
- 4 სახალისო აქტივობა კარიერის დაგეგმვისთვის: <http://tiny.cc/G12L2R7>
- კარიერული და აკადემიური კავშირები: <https://www.okcareertech.org/educators/career-and-academic-connections>



## კლასი 12, გაკვეთილი 3

“ინსტიტუციების როლი თანამედროვე საზოგადოებაში”

**დროის ხანგრძლივობა:** 45 წუთი

**თემები:** ისტორია, პოლიტიკა

**სტანდარტები:** შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)

**შეიმუშავა:** Deaweh Benson, Alexandra Ball, Somoh Supharukchinda, Heer Shaikh, Nicolás Riveros

**შეჯამება და დასაბუთება:** ამ გაკვეთილზე მოსწავლეები დაფიქრდებიან ინსტიტუციების როლზე ეფექტური სოციალური ცვლილებების განხორციელებაში და მათს გავლენაზე თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე. ინსტიტუცია, რომელსაც მოსწავლეები გაეცნობიან, არის ეროვნული მთავრობა. თუმცა, ეს გაკვეთილი შეიძლება მორგებულ იქნას ნებისმიერ სხვა ინსტიტუციაზე (საფინანსო, საგანმანათლებლო, სამენარმო...).

**სასწავლო მიზანი:** ისტორიული მაგალითების გამოყენება დისკუსიის წამოსაწყებად თემაზე, თუ როგორ უკავშირდებიან პიროვნებები ინსტიტუციებს და ინსტიტუციები როგორ აყალიბებს საზოგადოებას.

### გაცნობიერების მიზნები:

- ინსტიტუციები მოქმედებს ავტონომიურად, თავისი ღირებულებებისა და ინტერესების მიხედვით, და აქვს რეალური გავლენა ინდივიდების ცხოვრებაზე.
- ჩემი, როგორც მოქალაქის, ვალდებულებაა იმ ფაქტორების გააზრება და ცოდნა, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ ინსტიტუციების მხრიდან ცვალებადი სოციალური გარემოებების საპასუხო ქმედებებზე. ასევე აუცილებელია გავაცნობიერო ცვლილებაზე ზეგავლენის მოხდენის ინდივიდუალური უნარი და ზღვარი.

**მნიშვნელოვანი კითხვა:** როგორ პასუხობს ინსტიტუციები ცვალებად სოციალურ გარემოებებს და რა გავლენა აქვს ინდივიდების ცხოვრებაზე?

### სწავლის სტანდარტები:

- **ეთიკური და კულტურათშორისი ორიენტაცია (გრძნობა):** დაფასების, ცნობისმოყვარეობის და პატივისცემის დამკვიდრება კულტურული მრავალფეროვნებისა და მსოფლიო კულტურის მიმართ, როგორც თვითნაღიზის, იდენტობის ჩამოყალიბების და ადამიანებთან ინტერაქციის ემპათიური დამოკიდებულების საფუძველისადმი.
- **ცოდნა და უნარები (ფიქრი):**



- კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენე არსებული ძალაუფლების სტრუქტურები და შეგნებული გეონდეს მათი ადგილი კონკრეტულ კონტექსტში.
- ამოიცანი კულტურული ცრურწმენა და მისი გავლენის შემცირების უნარი.
- გაანალიზე და გამოიკვლიე პრობლემის გადაწყვეტის გზები სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგ. მომხმარებლის, ბიზნესმენის, მეცნიერის, პოლიტიკოსის, მკვლევარის, მედიის და ა.შ.

- **მოღვაწეობა და ნახალისება (ქმედება):** ცვლილებების განსახორციელებლად მოტივირებული მოსწავლეების ჩამოყალიბება.

### სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ გაცნობიერებას):

- ინსტიტუციები მოქმედებს ავტონომურად, თავისი ღირებულებებისა და ინტერესების მიხედვით, და აქვს რეალური გავლენა ინდივიდების ცხოვრებაზე.
- ინსტიტუციების საპასუხო ქმედებები შეიძლება ყოველთვის თანხვედრაში არ იყოს საზოგადოების მოთხოვნებსა და სურვილებთან. ამ ქმედებების გააზრება/სკეპტიკური დამოკიდებულება კი ინდივიდებზეა დამოკიდებული.

**შეფასება:** მიუხედავად იმისა, რომ ამ გაკვეთილისთვის ფორმალური შეფასების სისტემა არ არის შემუშავებული, მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მოსწავლე მონაწილეობს ჯგუფურ დისკუსიაში და წვლილი შეაქვს საბოლოო პასუხის მომზადებაში კითხვაზე, თუ თავად რა განსხვავებულ საპასუხო ქმედებას შეიმუშავებდნენ.

### აქტივობათა თანმიმდევრობა:

- **ნაწილი 1 (5 წუთი):**
  - მასწავლებელი დაფაზე წერს ინსტიტუციის განმარტებას და თითოეული მოსწავლე ჩამოწერს ინსტიტუციის იმდენ მაგალითს, რამდენსაც მოიფიქრებს.
  - ინსტიტუცია: საზოგადოება ან ორგანიზაცია დაფუძნებული პოლიტიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო, სოციალური ან მსგავსი მიზნით; ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს ქვეყნის ცხოვრებაში.
- **ნაწილი 2 (5 წუთი):** მასწავლებელი კრებს მოსწავლეების ჩანაწერებს და დაფაზე გადმოწერს იმ პასუხებს, რომლებიც მიესადაგება განმარტებას.
- **ნაწილი 3 (10 წუთი):**
  - მასწავლებელი მოკლედ ჰყვება ისტორიულ მაგალითს გამონვევის საპასუხოდ მთავრობის ქმედებაზე. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ისტორიული მომენტი, რომელიც შეესაბამება სკოლის კულტურულ კონტექსტს.



- ამ მაგალითისთვის თან დართულია რესურსები აშშ-ში სამოქალაქო უფლებების მოძრაობის საპასუხოდ მთავრობის ქმედებაზე.
- **ნაწილი 4 (5 წუთი):** მასწავლებელი წარუძღვება დისკუსიას იმაზე, თუ რა დადებითი შედეგი ჰქონდა მთავრობის საპასუხო ქმედებას და რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთესად.
- **ნაწილი 5 (15 წუთი):** მასწავლებელი წარუძღვება მოკლე ვიდეო სესიას, რომლის განმავლობაშიც მოსწავლეები ხელახლა წერენ ისტორიას. მოსწავლეები მუშაობენ ერთად, რომ ჩამოაყალიბონ თავიანთი განსხვავებული მიდგომა და საპასუხო ქმედება.
- **ნაწილი 6 (5 წუთი):** თითოეული ვიდეო უზიარებს კლასს თავის ნამუშევარს.

#### რესურსები მასწავლებლებისთვის:

- გაკვეთილის გეგმა სამოქალაქო უფლებებზე, თეთრი სახლი: <http://tiny.cc/G12L3R1>
- სამოქალაქო უფლებები (ფერგიუსონი): <http://tiny.cc/G12L3R2>
- გლობალური არაძალადობრივი ქმედების მონაცემთა ბაზა: <http://tiny.cc/G12L3R3>





## კლასი 12, გაკვეთილი 4

“აილე, გააკეთე, გაფლანგე: მდგრადი ეკონომიკის პარადიგმა”

**დროის ხანგრძლივობა:** 1-2 საგაკვეთილო პერიოდი

**თემები:** ეკონომიკა, სოციალური სწავლებები, მენარმეობა

**სტანდარტები:** გონივრული მოხმარება და წარმოება (მიზანი 12)

**შეიმუშავა:** Nicolás Riveros, Alexandra Ball, Deaweh Benson, Heer Shaikh, Somoh Supharukchinda

### შეჯამება და დასაბუთება:

- მოსწავლეები, რომლებიც სკოლას ამთავრებენ, თავიანთი ცხოვრების განმავლობაში განაგრძობენ გადანყვეტილებების მიღებას, როგორც მომხმარებლები და მწარმოებლები უფრო და უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიო ეკონომიკაში.
- ჩვენი და მომავალი თაობისთვის მდგრად სამყაროზე ფიქრისას საყურადღებოა წარმოების და პროგრესის ძირითადი ეკონომიკური მოდელის ზეგავლენის გათვალისწინება.
- ამჟამად, საქონლის საკმაოდ დიდი რაოდენობა იყრება, როგორც უსარგებლო ნარჩენი მოხმარების შემდეგ. ნაწარმის მუდმივად შემცირებული “სასიცოცხლო ციკლის” გამო მკვეთრად იზრდება ნარჩენების დაგროვების ტემპი.
- ეს სიტუაცია არა მარტო წარმოქმნის ეფექტურობის პრობლემას (რესურსები უფრო სწრაფად იღვევა და იყრება მისი სრულად გამოყენების გარეშე,) არამედ წარმოადგენს პლანეტაზე სიცოცხლის მდგრადობის მთავარ გამოწვევას.
- მასწავლებლებს შეუძლიათ გაკვეთილის გადაკეთება ნებისმიერად ისე, რომ ის უკეთესად ემსახურებოდეს კონტექსტს და მოსწავლეების სპეციფიკურ მახასიათებლებს კლასში.

### სასწავლო მიზნები:

- ეთიკური ორიენტაციის ჩამოყალიბება მსოფლიოს რესურსების გამოყენების კენ.
- ვენი პასუხისმგებლობის გააზრება ჩვენივე პლანეტის მდგრადობისთვის შენარჩუნებაში.

### გაცნობიერების მიზნები:

- ამ გაკვეთილიდან სასწავლო მთავარი კონცეფცია არის ცირკულარული ეკონომიკის იდეა.
- ცირკულარული ეკონომიკის მოდელი არის შემოთავაზება მსოფლიოში წარმოებისა და მოხმარების ტენდენციების შეცვლაში დახმარების და მსოფლიო მასშტაბით წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შემცირების მიზნით.
- მოსწავლეები დადგებიან ერთგვარი გამომწვევის წინაშე, რომ ეჭვქვეშ დააყენონ წარმოების/პროგრესის ძირითადი ეკონომიკური მოდელის საფუძვლად დადებული იდეები.

### მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა გავლენას ახდენს მსოფლიოზე ჩვენი მოხმარების ტენდენციები?



- რა ალტერნატივების მოფიქრება, შექმნა და იმპლემენტაცია შეგვიძლია, რომ შევცვალოთ დაგროვებული ნარჩენების რაოდენობის ამჟამინდელი ტენდენციები?

### სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ გაცნობიერებას):

- წარმოებისა და მოხმარების ამჟამინდელი ტენდენციები წარმოადგენს საფრთხეს მოსფლიოში სიცოცხლის მდგრადობისთვის.
- არსებობს ალტერნატივები, რომ შეიცვალოს არსებული ეკონომიკური მოდელი და ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს.
- პირად, პროფესიულ და მოქალაქეობრივ ცხოვრებაში სკოლადამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ ხელი შეუწყონ ეკონომიკური მოდელის ცვლილებას და რესურსების გამოყენების უფრო მდგრადი საშუალებებისა და მიდგომის განვითარებას.

**შეფასება:** აქტივობა არ მოითხოვს ფორმალურ შეფასებას, მაგრამ მასწავლებლებს შეუძლიათ უკუკავშირის დამყარება და მოსწავლეების შეფასება შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

- ჯგუფურ აქტივობებში ჩართულობა;
- ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა;
- გაზიარებული იდეების შესაფერისობა;
- გაკვეთილის საბოლოო პროდუქტი (მოზაიკა) შეიძლება შეფასდეს ხარისხის, სიფართოვისა და კრეატიულობის თვალსაზრისით.

**აქტივობათა თანმიმდევრობა:** ამ აქტივობისთვის მოსწავლეები იმუშავენ პატარა ჯგუფებში (4-6 მოსწავლე).

### ● ჯგუფური ანალიზი (20 წუთი):

- სესიის დაწყებამდე მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ან თავად შექმნან დიაგრამა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თავად ან თავიანთ ოჯახში გასულ წლებში შექმნილ ნივთებთან დაკავშირებით (საუკეთესო შემთხვევაში მე-9 კლასამდე შექმნილების ჩათვლით).
- დამატებითი გამოსადეგი ინფორმაცია არის ასევე ყიდვის/მოპოვების წლები. ფასისა და ბრენდის შესახებ ინფორმაცია არ არის საჭირო.
- დიაგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ტიპის ნივთები:
  - მობილური ტელეფონები
  - ტელევიზორები
  - რადიოები ან სხვა მუსიკალური მონოპოლიტები
- კლასში თითოეული მოსწავლე თავის ჯგუფს გაუზიარებს შეგროვებულ ინფორმაციას. მოსწავლეებმა ჯგუფურად უნდა გამოითვალონ მთლიანი და საშუალო რაოდენობა თითოეული ტიპის ნივთებისა, რომელთაც იყენებდნენ მითითებული დროის განმავლობაში.



- ინდივიდუალური და საერთო ანგარიშების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ შემდეგ კითხვებზე:
  - ა მსგავსება-განსხვავებებია ჩამოთვლილი ნივთების მოხმარების ტენდენციებში?
  - არის თუ არა ისეთი ნივთი, რომელსაც სხვა ნივთებთან შედარებით უფრო ხშირად ყიდულობთ თავად ან ყიდულობენ თქვენი ნაცნობები?
  - ამ ნივთებს ჯერ კიდევ იყენებთ?
  - რა ემართება იმ ნივთებს, რომელთაც აღარ იყენებთ?
  - სად არის ახლა ისინი?
  - ინახავთ მათ, ყიდით თუ აგდებთ?
  - რა ემართება გადაგდებულ ნივთებს?
  - ვიცით, ისინი ახლიდან გამოიყენება თუ ნარჩენებად ითვლება?
- **ახალი იდეების და ამჟამინდელი დებატების გამოკვლევა(15 წუთი):**
  - მთელმა კლასმა უყურეთ შემდეგი ვიდეოებიდან ერთ-ერთს:
    - შეუძლია ცირკულარულ ეკონომიკას ნაგვის გაქრობა?: <http://tiny.cc/G12L4R1>
    - ცირკულარული ეკონომიკა: <http://tiny.cc/g12L4R2>
    - მდგრადობა ცირკულარული ეკონომიკის საშუალებით: <http://tiny.cc/G12L4R3>
    - პროგრესის ახლებური მოფიქრება (ცირკულარული ეკონომიკა): <http://tiny.cc/G12L4R4>
  - გაუზიარეთ ერთმანეთს შთაბეჭდილებები და კომენტარები ვიდეოზე. მოსწავლეების ჩართვის მიზნით შეიძლება შემდეგი კითხვების დასმა:
    - რა არის წრფივი/ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები?
    - როგორ შეიძლება ამ ვიდეოს იდეები დაგვეხმაროს გაკვეთილის პირველი აქტივობის პასუხების გააზრებაში?
    - რომელი ნივთები (რომლებსაც ვიყენებთ/ყიდულობთ) შეიძლება დაუუკავშიროთ ამ ორი ეკონომიკური პროგრესის ტიპიდან თითოეულს?
- **სამომავლო იდეების მოზაიკა (25 წუთი):**
  - მოსწავლეები ისევ პატარა ჯგუფებში იმუშავებენ. ერთად ისინი უნდა შეთანხმდნენ იდეებზე/შემოთავაზებებზე, რომელთა საშუალებითაც წვლილს შეიტანენ მოხმარებისა და წარმოების ახლანდელი ტენდენციების შეცვლაში.
  - ამ აქტივობის დამხმარე კითხვები:
    - როგორც მოხმარებლებმა, რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი ნაყიდი პროდუქტების პლანეტის მადგრადობაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად?



- როგორც პროფესიონალებმა (ჩვენს მომავალ საქმიანობაში), რა შეგვიძლია გავაკეთოთ მსოფლიოში დაგროვებული ნარჩენების რაოდენობის შესამცირებლად?
- როგორც მოქალაქეებმა, რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმაში დასარწმუნებლად, რომ მომავალ თაობებს გარანტირებული აქვთ სუფთა და ჯანმრთელ გარემოში ცხოვრება?
- თითოეული ჯგუფი გაუზიარებს კლასს თავის შემოთავაზებებს და ჩამონერს მათ დაფაზე/კედელზე. მასწავლებელს შეუძლია ამ სამუშაოს შემსუბუქება ერთნაირი იდეების ერთ სივრცეში თავმოყრის გზით.
- აქტივობის დასასრულებლად მასწავლებელს შეუძლია კომენტარებისა და უკუკავშირის გაზიარება. თუ შესაძლებელია, იდეებისა და შემოთავაზებების მოზაიკას შეგიძლიათ გადაუღოთ ფოტო და გაავრცელოთ სოციალურ მედიაში.

## რესურსები მოსწავლეებისთვის:

- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა: <http://tiny.cc/G12L4R5>
- 5 ბიზნესის მოდელი, რომლებიც იყენებს ცირკულარულ ეკონომიკას: <http://tiny.cc/G12L4R6>
- ცირკულარული ეკონომიკის 7 მაგალითი: <https://www.greenbiz.com/article/7-pillars-circular-economy>

## რესურსები მასწავლებლებისთვის:

- გონივრული მოხმარებისა და წარმოების გლობალური განზომილება: <http://tiny.cc/G12L4R8>



## კლასი 12, გაკვეთილი 5

“კარგის კეთება: ლოკალური ბიძგის კატალიზება/ხელშეწყობა სამყაროს უკეთეს ადგილად ქცევისთვის”

**დროის ხანგრძლივობა:** 45 წუთი თითო სესიისთვის; 3-5 სესია

**თემები:** მიმდინარე საქმეები, მთავრობა & პოლიტიკა, ტექნოლოგიები, მენარმეობა

**სტანდარტები:** შემცირებული უთანასწორობები (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (მიზანი 16)

**შემუშავა:** Heer Shaikh, Nicolás Riveros, Alexandra Ball, Deaweh Benson, Somoh Supharukchinda

### შეჯამება და დასაბუთება:

- ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციო-ეკონომიკური პრობლემები დღევანდელი მსოფლიოსი, როგორებიცაა მზარდი უთანასწორობა, კლიმატის ცვლილება და ტერორიზმი, მოითხოვს, რომ მომავალმა თაობამ გააცნობიეროს და სცადოს მათთან გამკლავება მრავალმხრივი მიდგომით.
- ამიტომაც არის გადაუდებლად მნიშვნელოვანი, რომ სკოლის დამამთავრებელი მოსწავლეები არა მხოლოდ ღრმად და საფუძვლიანად ეცნობიან ამ კრიზისის გამომწვევ მნიშვნელოვან პრობლემებს, არამედ აღჭურვილნი არიან გადანყვეტის გზების შემუშავებისთვის საჭირო მიდგომით, აზროვნებითა და უნარებით.
- პირველი ნაბიჯი არის ის, რომ მოსწავლეებს დავებმართოთ თავიანთი ძლიერი მხარეების, გატაცებებისა და უნარების ღრმად გააზრებაში, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ დასაბრუნონ კონკრეტული გზა პრობლემების გადასაჭრელად.
  - ასევე საჭიროა მოსწავლეებისთვის იმის გაცნობიერების ჩანერგვა, რომ ისინი ვერ შეძლებენ ყველაფრის გამოსწორებას, და რომ რეალურ სამყაროს ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მცირე, მზარდი ნაბიჯები უფრო დიდი მიზნისკენ, რომელიც მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მიიღწევა.
  - ამგვარად, მოსწავლეები უნდა იყვნენ ნაქეზებულნი, რომ იფიქრონ ადგილობრივი თემის წინაშე არსებული პრობლემების ახლებური გადანყვეტის გზებსა და ამ გადანყვეტის გზების გავლენის მასშტაბის გაზრდაზე.
- მასწავლებლებს შეუძლიათ გაკვეთილის გადაკეთება ნებისმიერად ისე, რომ ის უკეთესად ემსახუროდეს კონტექსტს და მოსწავლეების სპეციფიკურ მახასიათებლებს კლასში.

### სასწავლო მიზნები:

- მაგალითების გამოყენება მიმდინარე საქმეების, ტექნოლოგიების და პოლიტიკის სფეროებიდან, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.
- ამ პრობლემების ადგილობრივი გადაჭრის გზების შემუშავება.



## გაცნობიერების მიზნები:

- მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემების გრძელვადიან გადაჭრის გზებს უნდა უძღვებოდეს თემი, უნდა იყოს ადგილობრივად მართული ინიციატივები.
- ამ გადაჭრის გზებში ჩადებულია იმ პრობლემების ცოდნა, რომელთა წინაშეც მათი საბოლოო მომხმარებლები დგანან, და უზრუნველყოფს, რომ საბოლოო შედეგი არის მდგრადი ინტერვენცია.
- ინდივიდებს შეუძლიათ გრძელვადიანი და პოზიტიური ცვლილებების განხორციელება თავიანთ თემში.
  - თუმცა, ცვლილებების დანერგვა არ ხდება ერთი დღე-ღამის განმავლობაში, არამედ არის საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი.
- მომავალი თაობებისთვის აუცილებელია თავიანთი ძლიერი მხარეებისა და სისუსტეების, მისწრაფებების საფუძვლიანი გააზრება.
- თავიანთი ძლიერი მხარეების ინტერესებთან სწორად დაკავშირებით ახალგაზრდებს შეუძლიათ თანამშრომლობა და მდგრადი გადანყვეტილებების შემუშავება.

**მნიშვნელოვანი კითხვა:** როგორ შეუძლიათ ინდივიდებს ადგილობრივი გადანყვეტის გზების შემუშავება გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად?

## სწავლის სტანდარტები:

- **ეთიკური და კულტურათმორისი ორიენტაცია (გრძნობა):**
  - გლობალური და ლოკალური კრიზისის და თემის მიმართ თანაგრძნობისა და ემპათიის ღრმა გრძნობის ჩანერგვა.
  - ინდივიდებს, ადგილობრივ თემსა და გლობალურ პრობლემებს შორის კავშირების გაცნობიერება.
- **ცოდნა და უნარები (ფიქრი):**
  - მსოფლიოს ყველაზე მწვავე სოციო-ეკონომიკური პრობლემების და მათი გამომწვევი მიზეზების გაცნობიერება.
  - უნიკალური აზროვნებისა და უნარების ამოცნობა, რომლებიც საჭიროა სოციო-ეკონომიკური გამომწვევების ეფექტური გადაჭრის გზების შემუშავებისთვის.
  - სოციო-ეკონომიკური პრობლემების გამოკვლევა და ანალიზი სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგ. მთავრობის, საბოლოო მომხმარებლების, მესამე პირის ბენეფიციარის და ა.შ.
- **ოღვანეობა და ნახალისება (ქმედება):** მოსწავლეების მოტივირება ადგილობრივი ცვლილებების განხორციელებისთვის, რაც გავლენას მოახდენს უფრო ფართო, მსოფლიო მასშტაბითაც.





### სწავლის მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ გაცნობიერებას):

- ძირითადი სოციო-ეკონომიკური პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს მსოფლიო დგას, არის მრავალმხრივი საკითხები, რომელთა გამომწვევი მიზეზებიც ხშირად არის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისი ბუნებით.
- ინდივიდებს შეუძლიათ გრძელვადიანი და პოზიტიური ცვლილებების შემუშავება თავიანთ თემში, რითიც წვლილს შეიტანენ უფრო ფართო სურათში.

### შეფასება: მოსწავლეები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:

- გლობალური პრობლემების ამოცნობა და გააზრება და მათი დაკავშირება ადგილობრივ რეალობასთან;
- ინოვაციური მიდგომა გლობალური პრობლემების გადანყვეტის გზების შემუშავებისას.

### აქტივობათა თანმიმდევრობა:

- **ნაწილი 1 (10 წუთი):** მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რომელია მსოფლიოში ყველაზე მწვავე პრობლემები დღესდღეობით.
- **ნაწილი 2 (5 წუთი):** მასწავლებელი დაფაზე ხატავს პასუხების ქსელს და აჩვენებს, როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული გლობალური და ლოკალური პრობლემები.
- **ნაწილი 3 (10 წუთი):** მასწავლებელი მოკლედ ყვება გლობალური კრიზისებისა და პოლიტიკის ისტორიას, ასევე საუბრობს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებზე, რომლებიც გამოყენებულია გლობალური პრობლემების შესამსუბუქებლად.
  - მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება მოიყვანოს მაგალითი, თუ როგორ გამოიყენება მობილური ტელეფონები კენიაში დედებისთვის იმუნიზაციის შესახებ შეხსენებების გასაგზავნად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი და მათი შვილების სრული იმუნიზაცია.
- **ნაწილი 4 (5 წუთი):** მასწავლებელი უძღვება დისკუსიას იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეების მიერ ამოცნობილ პრობლემურ საკითხებთან გამკლავება ტექნოლოგიების გამოყენებით.
- **ნაწილი 5 (15 წუთი):** მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად მათი ინტერესებიდან გამომდინარე (მსგავსი ინტერესები ერთად ჯგუფდება), და ერთობლივად ცდილობენ მათი დასახელებული პრობლემის გადანყვეტის ინივაციური გზის მოფიქრებას.
- **ნაწილი 6 (10 წუთი):** თითოეული ჯგუფი უზიარებს კლასს მიღებულ გადანყვეტილებას.



# Global Schools Program

- მომავალ სესიებზე მოსწავლეებს შეუძლიათ მეტი დრო დაუთმონ დისკუსიას და კრიტიკას და მოსწავლეებს მისცენ თავიანთი პროექტების პროტოტიპის შექმნის საშუალება.

## რესურსები მოსწავლეებისთვის:

- 80,000 საათი (კარიერული კაპიტალის გამოყენება გავლენის შესაქმნელად): <http://tiny.cc/G12L5R1>
- ეფექტური ალტრუიზმი და როგორ გავაანალიზოთ ეფექტურად ის საკითხები, რომელთა გადაჭრაც საჭიროა: <http://tiny.cc/G12L5R2>
- Dollar Street: <http://tiny.cc/G12L5R3>